



საერთაშორისო გამჭვირვალობა

საქართველო

ფინანსური ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საქმიანობის შედეგებისა და კაპიტალში ცვლილების უწყისი.....	8
გრანტის საქმიანობის უწყისი.....	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	12



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს დამფუძნებლებს

აუდიტორის მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს (ორგანიზაცია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისაგან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის საქმიანობის შედეგებისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისაგან, საგრანტო საქმიანობის ანგარიშგებისაგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისაგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წავრმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტერების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძველის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. ჩვენ მოვიპოვეთ და მიმოვიხილეთ სხვა ინფორმაცია, ადგილი არ ჰქონდა აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან შეუსაბამობებს, რაც საჭიროებს ჩვენი მხრიდან წარდგენას.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რაიმე ფორმით.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ



ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობებს.

აუდიტორული დასკვნის თარიღამდე, ჩვენს მიერ მოპოვებულ სხვა ინფორმაციაზე ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, თუ ჩვენ დავასკვნით რომ სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობებს, ვალდებულები ვართ აუდიტორულ დასკვნაში გავაცხადოთ აღნიშნული ფაქტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ზემოთ აღწერილ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დამგება, იმ შემთვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არც ამის აუცილებლობის არსებობის დროს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს.

გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიქმნას თაღლითობის ან შეცდომების შედეგად და ითვლება არსებითად, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ინდივიდუალურად ან ერთობლივად გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მთელი პერიოდის განმავლობაში.



ჩვენ აგრეთვე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს აღნიშნული რისკების აღმოსაფხვრელად და მოვიპოვებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჩვენს მიერ მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობათა არ აღმოჩენის რისკი არის უფრო მაღალი ვიდრე შეცდომებით გამოწვეულ არსებითი უზუსტობათა არ აღმოჩენის რისკი, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო გარიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის სისტემის უგულვებელყოფას.
- შევისწავლით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემას, რათა დავეგემოთ არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ორგანიზაცია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან თუ ასეთი განმარტებები არ არის საკმარისი, მაშინ გამოვხატოთ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს, თუმცა სამომავლო მოვლენებსა და პირობებს შეუძლიათ გამოიწვიონ ორგანიზაციის ფუნქციონირების შეწყვეტა.
- შევაფასოთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, სტრუქტურა და შემადგენლობა, ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე შევაფასოთ ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს თუ არა შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს.
- მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ორგანიზაციის ფინანსური ინფორმაციისა და ბიზნეს საქმიანობის შესახებ, რათა გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ორგანიზაციის აუდიტის მართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ერთპიროვნულად პასუხს ვაგებთ ჩვენს მიერ გამოთქმულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.



Crowe Horwath GE LLC
Member Crowe Horwath International

ჩვენ მოვახდენთ ხელმძღვანელობის ინფორმირებას, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების შესახებ, აგრეთვე აუდიტის პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი აუდიტორული აღმოჩენების შესახებ, რომელიც მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

A. Khloдзе

Crowe Horwath GE LLC
Member Crowe Horwath International

17 მარტი 2017



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2016	2015
	შენიშვნა	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2	323,992	926,782
მოკლევადიანი მოთხოვნები გრანტზე	3	2,583,385	2,266,891
გაცემული ავანსები		13	34
გაცემული ქვე-გრანტები		36,892	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		1,781	975
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,946,064	3,194,682
ძირითადი საშუალებები- წმინდა	4	68,103	77,299
არამატერიალური აქტივები		5,154	2,826
გრძელვადიანი მოთხოვნები გრანტზე	5	2,260,260	3,411,332
სულ აქტივები		5,279,581	6,686,139
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
კრედიტორული დავალიანება		-	1
დონორებთან დასაბრუნებელი თანხა		-	322,084
სულ ვალდებულებები:		-	322,085
წმინდა აქტივები:			
შეუზღუდავი წმინდა აქტივები		177,724	173,568
დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	6	5,101,858	6,190,487
სულ წმინდა აქტივები		5,279,581	6,364,055
სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები		5,279,581	6,686,139

ეკა გიგაური
 აღმასრულებელი დირექტორი

დავით არაშიძე
 ფინანსური და ადმინისტრაციული
 მენეჯერი

საქმიანობის შედეგებისა და კაპიტალში ცვლილების უწყისი

2016 წლის 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნა	შეუზღუდავი	დროებით შეზღუდული	სულ
შემოსავლები				
გრანტები		-	1,344,942	1,344,942
შემოწირულობები		6,258	-	6,258
შემოსავალი სერვის მომსახურებიდან		7,449	-	7,449
სხვა შემოსავალი		-	-	-
შეზღუდვებისგან განთავისუფლებული წმინდა აქტივები	7	2,668,145	(2,668,145)	-
სულ შემოსავლები		2,681,852	(1,323,203)	1,358,649
ხარჯები				
ხელფასი		1,796,767.07		1,796,767
ოფისის იჯარა		168,274.30		168,274
არჩევნებზე დაკვირვების ხარჯები		143,786.86		143,787
გარე კონსულტანტები/კვლევა		96,253.80		96,254
IT დახმარება		77,585.16		77,585
სამივლინებო ხარჯები		69,597.66		69,598
თარგმნა/მთარგმნელები		50,901.07		50,901
პერსონალის დაზღვევა		49,818.10		49,818
სატელეკომუნიკაციო ხარჯები		29,323.13		29,323
სატრანსპორტო საშუალებების ხარჯები/სარემონტო ხარჯები		7,049.50		7,050
ბეჭდვა/ასლის გაკეთება		24,096.56		24,097
კომუნალური ხარჯები		21,618.33		21,618
რეკლამა/პროპაგანდა		20,812.01		20,812
საკანცელარიო საქონელი		20,282.52		20,283
შეხვედრების/კონფერენციების /ლონისძიებების ხარჯები		19,439.84		19,440
ცვეთა		17,283.76		17,284
ოფისის დასუფთავების საფასური		12,899.07		12,899
აუდიტი/კონსულტაცია/დაზღვევა/ფინანსური მომსახურება		9,587.20		9,587
მედია მონიტორინგი		8,350.00		8,350
საექსპლუატაციო ხარჯები		5,381.96		5,382
საკონსულტაციო მომსახურება		5,257.50		5,258
სხვა საერთო ხარჯები		4,818.13		4,818
საფოსტო მომსახურება		3,169.97		3,170
პერსონალის ტრენინგი		2,983.73		2,984
ოფისის დაცვის საფასური		2,653.00		2,653
ორგანიზაციული განვითარების ხარჯები		1,760.84		1,761
დაზღვევის ხარჯები		1,447.69		1,448
საბანკო ხარჯი		1,066.04		1,066
იურიდიული მომსახურება		612.56		613
წიგნების შეძენა		-		-
ტრანსპორტირების ღირებულება		19,304.08		19,304
სულ ხარჯები		2,692,181	-	2,692,181
(ზრდა) / შემცირება საოპერაციო საქმიანობიდან		10,329	1,323,203	1,333,532
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად		(14,485)	(234,574)	(249,058)
წმინდა აქტივების ზრდა / (შემცირება)		(4,155)	1,088,629	1,084,474
წმინდა აქტივები წლის დასაწყისში		173,568	6,190,487	6,364,055
წმინდა აქტივები წლის ბოლოს		177,724	5,101,858	5,279,581

საქმიანობის შედეგებისა და კაპიტალში ცვლილების უწყისი (გაგრძელება)

2015 წლის 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნა	შეუზღუდავი	დროებით შეზღუდული	მთლიანი
შემოსავლები				
გრანტები			6,855,279	6,855,279
შემოწირობები		5,400	-	5,400
შემოსავალი სერვის მომსახურებიდან		79,183	-	79,183
სხვა შემოსავალი		2,168	-	2,168
შეზღუდვებისგან განთავისუფლებული წმინდა აქტივები		2,002,871	(2,002,871)	-
სულ შემოსავლები		2,089,622	4,852,407	6,942,030
ხარჯები				
ხელფასი		1,670,435		1,670,435
ოფისის იჯარა		136,178		136,178
არჩევნებზე დაკვირვების ხარჯები		-		-
გარე კონსულტანტები/კვლევა		103,898		103,898
IT დახმარება		30,533		30,533
სამიწვინებო ხარჯები		123,371		123,371
თარგმნა/მთარგმნელები		83,498		83,498
პერსონალის დაზღვევა		36,438		36,438
სატელეკომუნიკაციო ხარჯები		30,798		30,798
სატრანსპორტო საშუალებების ხარჯები/ სარემონტო ხარჯები		7,767		7,767
ბეჭდვა/ასლის გაკეთება		102,178		102,178
კომუნალური ხარჯები		15,332		15,332
რეკლამა/პროპაგანდა		35,880		35,880
საკანცელარიო საქონელი		35,064		35,064
შეხვედრების/კონფერენციების /ღონისძიებების ხარჯები		71,431		71,431
ცვთა		2,450		2,450
ოფისის დასუფთავების საფასური		12,247		12,247
აუდიტი/კონსულტაცია/დაზღვევა/ ფინანსური მომსახურება		22,867		22,867
მედია მონიტორინგი		18,100		18,100
საექსპლუატაციო ხარჯები		8,942		8,942
საკონსულტაციო მომსახურება		34,569		34,569
სხვა საერთო ხარჯები		3,300		3,300
საფოსტო მომსახურება		4,288		4,288
პერსონალის ტრენინგი		3,504		3,504
ოფისის დაცვის საფასური		2,840		2,840
ორგანიზაციული განვითარების ხარჯები		15,720		15,720
დაზღვევის ხარჯები		1,892		1,892
საბანკო ხარჯი		2,058		2,058
იურიდიული მომსახურება		546		546
წიგნების შეძენა		644		644
ტრანსპორტირების ღირებულება		14,418		14,418
სულ ხარჯები		2,631,188	-	2,631,188
(ზრდა) / შემცირება საოპერაციო საქმიანობიდან		541,566	(4,852,407)	(4,310,841)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად მრ		(570,615)	-	(570,615)
წმინდა აქტივების ზრდა / (შემცირება)		(29,049)	(4,852,407)	(4,881,456)
წმინდა აქტივები წლის დასაწყისში		144,520	1,338,079	1,482,599
წმინდა აქტივები წლის ბოლოს		173,568	6,190,487	6,364,055

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრისთვის

	<u>2016 წელი</u>	<u>2015 წელი</u>
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების მიღება გრანტიდან	2,462,983	2,163,738
ფულადი სახსრების დაბრუნება დონორებისთვის	(322,084)	(6,743)
ფულადი სახსრები მიღებული მომსახურების გაწევიდან	7,514	84,909
ფულადი სახსრები მიღებული შემოწირულობებიდან	6,258	5,400
სხვა ფულადი სახსრების მიღება		2,351
ფულადი სახსრების გადახდა საქონლისა და მომსახურების შესაძენად	(757,649)	(808,296)
გადახდილი სელფასები და სხვა სარგებელი	(1,477,268)	(1,343,698)
გადახდილი გადასახადები	(369,317)	(375,139)
საბანკო ხარჯი	(1,066)	(1,932)
სამივლინებო ხარჯი	(69,598)	(70,852)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(520,227)	(350,262)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(8,088)	(28,676)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(2,327)	(4,505)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(10,416)	(33,181)
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(72,147)	192,691
წმინდა ზრდა (კლება) ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე	(602,789)	(190,752)
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისში	<u>926,782</u>	<u>1,117,533</u>
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოს	323,992	926,782

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა და ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო - წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს და მისი იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ. 61.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიზანია იყოს, ინფორმაციის ძირითადი წყარო საქართველოში არსებული ანტიკორუფციული რეფორმის შესახებ, ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობასა და ფართო საზოგადოებას წახალისონ რეფორმა იმ სექტორებში, სადაც კორუფცია არსებობს, რომ შეიქმნას და გაძლიერდეს სტრუქტურები და ხელი შეეწყოს ეფექტურ მმართველობას.

წარდგენის საფუძველი

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საბუღალტრო აღრიცხვის დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება ასახავს მხოლოდ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს საქმიანობას.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ლარი, რომელიც აგრეთვე არის საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სამუშაო ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

განსჯისა და შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მენეჯმენტისგან მოითხოვს გააკეთოს შეფასება და განსჯა, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსური ანგარიშგების დღისათვის არსებული აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და საანგარიშგებო პერიოდისთვის შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებისა და განსჯის გაკეთება ხდება გამოცდილების საფუძველზე, სამომავლო ღონისძიებების მოლოდინის გათვალისწინებით და ითვლება სამართლიანად გარკვეულ პირობებში. არ არსებობს მნიშვნელოვანი გარემოებები რომლებიც მოსალოდნელია რომ გამოიწვევს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ შედეგებს.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოური ვალუტა

საბუღალტრო ჩანაწერები გამოსახულია სამუშაო ვალუტით, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ეკონომიკური გარემოს ძირითად ვალუტას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ შეუზღუდავ ნაშთებს.

გაცემული ავანსები

გაცემული ავანსები აისახება თვითღირებულებით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ავანსები წარმოდგენილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით და შემდგომში არ ექვემდებარება გადაფასებას ბალანსის დღისთვის არსებული კურსის შესაბამისად.

დებიტორული დავალიანება კომერციული ხელშეკრულებებიდან

დებიტორული დავალიანება კომერციული ხელშეკრულებებიდან აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს, ხელშეკრულების დამდები მხარისგან მისაღებ თანხას. დებიტორული დავალიანება დენომინირებული უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილია ლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ბალანსის თარიღისათვის დადგენილი კურსით.

დებიტორული დავალიანება, რომელიც მიიჩნევა უიმედო დავალიანებად, ჩამოიწერება მოგება ზარალის უწყისიდან, როგორც უიმედო ვალის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება უიმედო დავალიანებად.

საგრანტო მოთხოვნები

საგრანტო მოთხოვნების აღიარება ხდება საგრანტო ხელშეკრულებაზე დონორის მიერ ხელმოწერის დღეს, იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ორგანიზაცია შეასრულებს საგრანტო ხელშეკრულების ყველა მოთხოვნას, წარმატებით განახორციელებს პროექტს ან პროგრამას და ამგვარად უფლებამოსილი იქნება მიიღოს დონორისგან დადგენილი თანხა. საგრანტო მოთხოვნა მცირდება დონორისგან მიღებული თანხების ოდენობით. მაშასადამე, ბალანსში წარმოდგენილი საგრანტო მოთხოვნების ოდენობა უდრის ხელმოწერილი საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბიუჯეტის მთლიან თანხას გამოკლებული ბალანსის დღისთვის დონორებისგან მიღებული თანხა.

საგრანტო მოთხოვნები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილია ლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი კურსით.

ავეჯი და მოწყობილობები

აღიარება და შეფასება:

ავეჯი და მოწყობილობები იზომება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნებიან შეძენილ აქტივებს. როდესაც ძირითადი საშუალების შემადგენელ ნაწილებს, განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან, როგორც ცალკე ობიექტები (ძირითადი კომპონენტები). უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები იზომება

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიერ მათი მიღების დღეს შეფასებითი ღირებულებით, რომელიც თვითღირებულებად მიიჩნევა.

ყველა სარემონტო და ტექნიკური მომსახურება აღიარდება ხარჯად გაწევის მომენტში და წარმოდგენილია საქმიანობისა და კაპიტალში ცვლილებების უწყისში. ძირითადი საშუალებების ობიექტის გასვლასთან დაკავშირებული ნამატი და ზარალი, განისაზღვრება როგორც გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალს გამოკლებული ძირითადი საშუალების ნეტო საბალანსო ღირებულება, და აღიარდება როგორც სხვა შემოსავალი საქმიანობისა და კაპიტალის ცვლილებების უწყისში. როდესაც ხდება გადაფასებული აქტივების გაყიდვა, გადაფასების რეზერვში არსებული თანხები გადაიტანება წმინდა აქტივებში.

შემდგომი დანახარჯები:

ძირითადი საშუალებების ობიექტის ნაწილის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული დანახარჯები ემატება ობიექტის საბალანსო ღირებულებას თუ ცნობილია, რომ ნაწილის გამოყენებიდან საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო მომავალში მიიღებს ეკონომიკური სარგებელს და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედო შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები მათი გაწევის მომენტიში აღიარდება პერიოდის ხარჯად საქმიანობისა და კაპიტალის ცვლილებების უწყისში.

ცვეთა:

ცვეთა გამოითვლება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს აქტივის ღირებულებას, ან ღირებულების შემცველ სხვა თანხას გამოკლებული სალიკვიდაციო ღირებულება.

ცვეთა აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, თითოეული ავეჯისა და მოწყობილობის ნაწილის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან იგი უკეთ ასახავს მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურას.

მიმდინარე და შესადარის პერიოდებში გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადა წარმოადგენს:

სატრანსპორტო საშუალებები 5 – 12 წელი

კომპიუტერები 3 – 7 წელი

ავეჯი 3 – 10 წელი

ცვეთის მეთოდის, სასარგებლო მომსახურების ვადების და სალიკვიდაციო ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი კორექტირება.

წმინდა აქტივების კლასიფიკაცია

წმინდა აქტივები წარმოდგენილია კაპიტალის ორ მუხლად შემდეგნაირად:

შეუზღუდავი წმინდა აქტივები შეიცავს შეუზღუდავ შემოსავლებსა და დონორისაგან დადებული შეზღუდვების გარეშე მიღებულ შენატანებს. მოცემული წმინდა აქტივები ხელმისაწვდომია საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ოპერაციებისათვის.

დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები შეიცავს შემოსავლებსა და შენატანებს, რომლებზეც ვრცელდება დონორების მიერ დადგენილი შეზღუდვები, რომლებიც დაკმაყოფილებული უნდა იყოს საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიერ. როდესაც შეზღუდვები დაკმაყოფილებულია, ხდება დროებით შეზღუდული წმინდა აქტივების რეკლასიფიკაცია შეუზღუდავ წმინდა აქტივებად, რომლებიც წარმოდგენილია საქმიანობისა და კაპიტალში ცვლილებების უწყისში როგორც შეზღუდვებისაგან გათავისუფლებული წმინდა აქტივები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებიც შედგება კომპიუტერული პროგრამისგან, აღირიცხება თვითღირებულებით და ამორტიზირდება 10 წლის განმავლობაში წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კრედიტორული დავალიანება მომწოდებლებისა და პერსონალის მიმართ

კრედიტორული დავალიანებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც წარმოადგენს ინვოისის თანხა, რომელიც გამოწერილია მომწოდებლის მიერ საქონელზე ან მომსახურებაზე და არის გათვალისწინებული კონტრაქტის მიხედვით ან მუშა-მომსახურეთა ხელფასები, რომელიც დგინდება პირთან ხელშეკრულების დადებისას.

დონორებთან დასაბრუნებელი თანხები

არსებობს შემთხვევები, როდესაც გრანტის პროექტი ან პროგრამა სრულდება და გარკვეული თანხა, რომელიც უკვე იქნა გადახდილი დონორების მიერ ორგანიზაციაზე, ვერ იქნა მთლიანად ათვისებული. ეს შეიძლება იყოს გამოწვეული საქმიანობის უფრო ეფექტური განხორციელებით (მაგ. შესაძლოა რომელიმე მოწყობილობა ნაკლებ ფასად იყოს შეძენილი ვიდრე ეს გაწერილი იყო ბიუჯეტში), ან გრანტის საქმიანობის რომელიმე ნაწილის გაუქმებით. ამ შემთხვევისას, როდესაც დონორის კონტრაქტი მოითხოვს, ორგანიზაციას შესაძლოა ჰქონდეს ვალდებულება დაუბრუნოს გამოუყენებელი თანხები დონორს. თუ ასეთი შემთხვევა არსებობს, მაშინ კონკრეტულ პროექტზე დროებით შეზღუდული სახსრების ანგარიშზე არსებული ნაშთი დადებულდება და ვალდებულება დონორის მიმართ დაკრედიტდება - "დონორთან დასაბრუნებელი თანხის" ანგარიშით.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

ხარჯების ფუნქციონალური განაწილება

სხვადასხვა პროგრამის უზრუნველყოფის ღირებულება და სხვა საქმიანობები დაჯამდა, ძირითადი ფუნქციების მიხედვით, საქმიანობისა და კაპიტალის ცვლილების უწყისში. აქედან გამომდინარე, გარკვეული ხარჯები გადანაწილდა პროგრამებზე და დამხმარე მომსახურებაზე.

შემოსავალი

მიღებული გრანტები

შეუზღუდავი და დროებით შეზღუდული გრანტები აღიარდება როგორც შემოსავალი იმ წელს, როდესაც დონორისგან მოხდა შეტყობინების მიღება. შეზღუდული გრანტები აღიარდება როგორც შეუზღუდავი სახსრები მხოლოდ ფაქტიურად გაწეული ხარჯების ოდენობით, დონორის მიერ დადებული შეზღუდვებისა და დროითი შეზღუდვების დაკმაყოფილების შემდეგ. როდესაც შეზღუდული გრანტები მეტია გაწეულ ხარჯებზე, მაშინ ნამეტი თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც შეზღუდული წმინდა აქტივები.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო იღებს დაფინანსებას გრანტებისა და კონტრაქტების მეშვეობით უცხოური მთავრობებისგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა გრანტიორებისგან პროგრამის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯებისთვის. ეს დაფინანსება ექვემდებარება სახელშეკრულებო შეზღუდვებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს გარკვეული პროგრამებისთვის შესაბამისი ხარჯების გაწევით. შესაბამისად, მსგავსი გრანტები გულისხმობს გაცვლით ტრანზაქციებს და აღირიცხება როგორც შეუზღუდავი შემოსავალი იმდენად, რამდენადაც საგრანტო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად ხდება დაკავშირებული ხარჯების გაწევა.

გრანტები და დამხმარე დებიტორული დავალიანებები წარმოადგენენ დამფინანსებელი ორგანიზაციებისაგან მიღებულ თანხებს. ხარჯების გაწევამდე მიღებული საგრანტო სახსრები აღირიცხება როგორც შეზღუდული წმინდა აქტივები.

შემოსავალი მიღებული მომსახურების გაწევიდან

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით და აისახება მოგება - ზარალის უწყისში, როდესაც მომსახურება შესრულებულია და ორგანიზაციას უფლება აქვს მიიღოს კონპენსაცია ხელშეკრულების დამდები მხარისგან.

კერძო შემოწირულობები

შემოწირულობა აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც ფული რეალურად იქნა მიღებული.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ფინანსური შედეგების უწყისში, როცა ხდება მისი დარიცხვა.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც ფული რეალურად იქნა მიღებული.

უსასყიდლოდ მიღებული მასალები:

უსასყიდლოდ მიღებული მასალები შედგება შემოწირული ავეჯისა და მოწყობილობისგან, რომლებიც აღირიცხება მიღების დღეს არსებული საბაზრო ღირებულებით.

მოგების გადასახადი

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო დარეგისტრირებულია როგორც ფონდი და არ არის გადასახადებისგან განთავისუფლებული. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო განთავისუფლებულია გრანტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობებთან დაკავშირებულ დღგ და ქონების გადასახადისაგან, მაგრამ ვალდებულია გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო ვალდებულია გადაიხადოს ყველა გადასახადი, მათ შორის ქონების გადასახადი, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ თანხებზე.

რეკლასიფიკაცია

მიმდინარე წლის შესაბამისად, მოხდა წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული გარკვეული თანხების რეკლასიფიკაცია, რომელსაც არ ჰქონია ზეგავლენა წინა წელს წარდგენილ ნეტო აქტივებში ცვლილებებზე.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

2. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2016 წლის 31 დეკემბერი

	2016 31 დეკემბერი	2015 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები ბანკში	323,992	926,782
	<u>323,992</u>	<u>926,782</u>

3. მოკლევადიანი მოთხოვნები გრანტზე

2016 წლის 31 დეკემბერი

	2016 31 დეკემბერი	2015 31 დეკემბერი
SIDA ძირითადი დაფინანსება	1,166,320	1,643,992
მართლმსაჯულების სისტემის მხარდაჭერა საქართველოში	747,906	497,033
პოლიტიკური პარტიების ფინანსირების კონტროლი და არჩევნების პროცესისათვის საჭირო რესურსების არასამართლიანი გამოყენება	249,286	-
მედია გარემოს გაძლიერება და კონტროლი	226,511	-
გამჭირვალე მედია და პასუხისმგებელი ხელმძღვანელობა (M-TAG)	127,227	74,999
პროკურორების შეფასების სისტემისთვის კონცეფციისა და მეთოდოლოგიის შემუშავება	36,483	34,472
საქართველოში ეფექტური მმართველობის ინიციატივა	29,652	-
დამოუკიდებელი მედია გარემოს ხელშეწყობა	-	16,396
	<u>2,583,385</u>	<u>2,266,891</u>

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

4. ძირითადი საშუალებები-წმინდა

2016 წლის 31 დეკემბერი

პირვანდელი ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი	სულ
2015 წლის 31 დეკემბერი შეძენები	17,280	56,401	19,077	92,758
გასვლა/გაყიდვები		6,673	513	7,186
2016 წლის 31 დეკემბერი საბოლოო ნაშთი	17,280	63,074	19,590	99,944
დაგროვილი ცვეთა				
2015 წლის 31 დეკემბერი	2,880	9,400	3,180	15,460
მიმდინარე პერიოდის ცვეთა	2,880	12,580	921	16,381
გასვლა/გაყიდვები	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბერი საბოლოო ნაშთი	5,760	21,980	4,101	31,841
ახალი თვითღირებულება				
2015 წლის 31 დეკემბერი	14,400	47,001	15,897	77,299
2016 წლის 31 დეკემბერი	11,520	41,094	15,489	68,103

5. მისაღები გრანტები - გრძელვადიანი

2016 წლის 31 დეკემბერი

	2016 31 დეკემბერი	2015 31 დეკემბერი
მართლმსაჯულების სისტემის მხარდაჭერა საქართველოში	2,056,055	2,481,414
SIDA ძირითადი დაფინანსება	-	929,918
პოლიტიკური პარტიების ფინანსირების კონტროლი და არჩევნების პროცესისათვის საჭირო რესურსების არასამართლიანი გამოყენება	163,387	-
დამოუკიდებელი მედია გარემოს ხელშეწყობა	40,819	-
	<u>2,260,260</u>	<u>3,411,332</u>

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

6. დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები

2016 წლის 31 დეკემბრისათვის

	2016 31 დეკემბერი	2015 31 დეკემბერი
მართლმსაჯულების სისტემის მხარდაჭერა საქართველოში	2,820,483	3,061,200
SIDA ძირითადი დაფინანსება	1,166,320	2,885,246
პოლიტიკური პარტიების ფინანსირების კონტროლი და არჩევნების პროცესისათვის საჭირო რესურსების არასამართლიანი გამოყენება	541,490	-
დამოუკიდებელი მედია გარემოს ხელშეწყობა	305,712	-
გამჭირვალე მედია და ანგარიშვალდებული მთავრობა (M-TAG)	141,489	84,120
პოლიციის სისტემის გამჭვირვალობა	63,115	-
საქართველოში ეფექტური მმართველობის ინიციატივა	45,978	-
პროკურორების შეფასების სისტემისთვის კონცეფციისა და მეთოდოლოგიის შემუშავება	17,271	135,209
დამოუკიდებელი მედია გარემოს ხელშეწყობა	-	24,712
	<u>5,101,858</u>	<u>6,190,487</u>

7. შეზღუდვებისგან განთავისუფლებული წმინდა აქტივები

შემდეგი დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები გათავისუფლებული იქნა შეზღუდვებისაგან დონორების მიერ განსაზღვრული შეზღუდული ფაქტორების შესაბამისი ხარჯების გაწევის შედეგად:

	2016 წელი
SIDA ძირითადი დაფინანსება	1,644,217
მართლმსაჯულების სისტემის მხარდაჭერა საქართველოში	497,033
პროკურორების შეფასების სისტემისთვის კონცეფციისა და მეთოდოლოგიის შემუშავება	115,223
გამჭირვალე მედია და ანგარიშვალდებული მთავრობა (M-TAG)	82,815
პოლიტიკური პარტიების ფინანსირების კონტროლი და არჩევნების პროცესისათვის საჭირო რესურსების არასამართლიანი გამოყენება	159,516
მედია გარემოს გამლიერება და კონტროლი	70,330
პოლიციის სისტემის გამჭირვალობა	27,813
ეს შენ გეხება	2,625
საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის დამკვირვებელთა მისია 2016 წელს	7,263
კარგი მმართველობის ინიციატივა საქართველოში	13,326
საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შიდა სადამკვირვებლო მისიის მეორე რაუნდის მხარდაჭერა 2016 წელს	24,067
დამოუკიდებელი მედია გარემოს ხელშეწყობა	23,918
	2,668,145
